Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

ხელშეკრულება №4/5

ქ. თბილისი 16 იანვარი 2012 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით, (შემდგომში „დამკვეთი") და, მეორეს მხრივ ქეთევან ამბარდნიშვილი შემდგომში "შემსრულებელი" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამკვეთი" აძლევს დავალებას, ხოლო "შემსრულებელი" სათანადო ანაზღაურებით კისრულობს სპექტაკლისათვის "ანტიგონე" 9 ცალი ნიღბის დამზადების (CPV- 79900000) ვალდებულებას "დამკვეთის" წინაშე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების საფუძველია 10ı მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 "დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსრულებელს" ანაზღაურება 1250.00 (ერთიათასორასორმოცდაათი) ლარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.ღ.გ და სხვა) გადასახადების ჩათვლით;

3. ხელშეკრულების ამოქმედება, მოქმედების ვადა, შეწყვეტა

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 16 იანვრიდან 2012 წლის 1 მარტამდე.

3.2. ნაკისრი ვალდებულების შესრულების პარალელურად "შემსრულებელი" უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფატურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1 <u>"დამკვეთი" ვალდებულია:</u>

4.1.1 განუმარტოს "შემსრულებელს" ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მის მიერ სამუშაოს შესრულებისას;

4.1.2. მიაწოდოს "შემსრულებელს" ყველა სახის ინფორმაცია რაც დაეხმარება ამ უკანასკნელს სამუშაოს შესრულებაში;

4.1.3. დროულად და სრულად გადაუხადოს "შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

4.1.4. შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე უზრუნველყოს "შემსრულებელი" სათანადო პირობებით.

<u>4.2"შემსრულებელი" ვალდებულია:</u>

4.2.1 დროულად და სრულად გაუწიოს "დამკვეთს" მოვალეობის შესრულება.

4.2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში უზრუნველყოს "დამკვეთი"-ს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის მაღალპროფესიონალურად შესრულება;

4.2.3. ხელშეკრულების არასაპატიო მიზეზით მოშლის შემთხვევაში "დამკვეთს" გადაუხადოს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის სრული მოცულობით

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

5. დამატებითი დებულებები

5.1 "დამკვეთი" და "შემსრულებელი" კონფიდენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშკრულების შინაარს.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

8. *მხარეთა რეკვიზიტები:*

"დამკვეთი"	*"შემსრულებელი"*
ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური	ქეთევან ამბარდნიშვილი
კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ს/კ 201948928	მის: თბილისი რუსთაველის გამზ. №28/2
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182	პირადი ნომერი: 01017029166
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: 220101502,	„შემსრულებელი"
ა/ა 123361000	დირექტორი
	ხელმოწერა
თეატრის მმართველი	
დავით დოიაშვილი	